ბრძანება N 126

„20“ 06 2017 წელი

ქ. თბილისი

სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯაროდ გამოცხადების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “ა“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯაროდ გამოცხადების წესი“ დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს - „სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საჯაროდ გამოცხადების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2016 წლის 20 მაისის N118 ბრძანება.
3. დაევალოს სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში- ცენტრი) ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - tpdc.gov.ge განთავსება.
4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6. 0131).

დირექტორი

გიორგი მაჩაბელი

დანართი

სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯაროდ გამოცხადების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

წესის მოქმედება ვრცელდება სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) დირექტორის იმ ინდივიდუალური ადმინისტარციულ-სამართლებრივ აქტზე, რომლის ძალაში შესვლისთვის, საქართველოს ზოგადი სადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით საკმარისია მხოლოდ მისი საჯაროდ გამოცხადება.

მუხლის 2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლა საჯაროდ გამოცხადების გზით

1. ამ წესის მიზნებისათვის, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადების დღეს.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯაროდ გამოცხადება გულისხმობს ცენტრის შენობაში, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას მის ღიად განთავსებას ან/და ცენტრის ოფიციალურ ვებგვერზე (tpdc.gov.ge) განთავსებას.

3. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯაროდ გამოცხადებას უზრუნველყოფს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაცილი უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

წესის გაუქმება, მასში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.